

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი

ზოგადი ნაწილი

მესამე გამოცემა

დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუ-ის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ: საქართველოს
სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი
09.03.2012, ოქმი № 1;



თბილისი, 2015
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საავტორო უფლების მქონე სუბიექტების წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© გამომცემლობა “იურისტების სამყარო”, 2015

© ავტორები, 2015

ISBN 978-9941-9444-4-4



გამომცემლობა “იურისტების სამყარო”

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 2 38 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

წინამდებარე სახელმძღვანელო სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) მესამე, გადამუშავებული გამოცემაა, მასში გადმოცემულია მოქმედი სისხლის სამართლის პროცესის ყველა ძირითადი საკითხი. ახლებურადაა გაანალიზებული სისხლის სამართლის პროცესის ცნება, სისხლის სამართლის პროცესის ის ინსტიტუტები თუ ცალკეული პროცესუალური საკითხები, რომლებიც მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა შემოგვთავაზა და ჩვენი კანონმდებლობისათვის ნოვაციას წარმოადგენს.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, მეცნიერ-მუშაკებისათვის, პრაქტიკოს-იურისტებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

რედაქტორები: **ჯემალ გახოკიძე**, სამართლის დოქტორი, პროფესორი
მიხეილ მამნიაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი
ირაკლი გაბისონია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **ჯემალ ჯანაშია**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ალექსანდრე ტალიაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ავტორები: მ. მამნიაშვილი და ჯ. გახოკიძე (თავი I, §1, თავი II, თავი IV, §1, §2, §3, მხოლოდ “ზ” პუნქტი, §4, §7, §9, §10, §11, §12, §13, თავი V); შ. ფაფიაშვილი (თავი I, §2, §3, §4, §5, თავი III); ი. აქუბარდია (თავი IV, §5, §6); პ. კობალაძე (თავი IV, §3 “ზ” პუნქტის გარდა); ჯ. გაბელია (თავი VII, §2); ი. გაბისონია (თავი VI); გ. ალანია (თავი IV, §8).

რედაქტორებისგან

2010 წლის ოქტომბრიდან ამოქმედებულმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის შემადგენელი ნაწილია, წინა საპროცესო კოდექსთან შედარებით, შეიძლება ითქვას ძირეულად (ასებითად) შეცვალა არა მარტო საპროცესო საქმიანობის სუბიექტთა სტატუსი სისხლის სამართალწარმოების პროცესში, არამედ შემოგვთავაზა ქართული საპროცესო კანონმდებლობის მენტალიტეტისათვის მანამდე უცხო ცალკეული ინსტიტუტები თუ პროცესუალური რეგულაციები.

უპირველეს ყოვლისა მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ პრიორიტეტი მიანიჭა სისხლის სამართლის პროცესის ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი წმინდა შეჯიბრებითობის მოდელს, კერძოდ: გაუქმდა წინასწარი გამოძიება და მას მხოლოდ გამოძიება დაერქვა, სისხლის-სამართლებრივი დევნის დისკრეციული უფლებამოსილება მიენიჭა მხოლოდ პროკურორს, შეიცვალა ასევე გამოძიებლის სტატუსი სისხლის სამართალწარმოებით პროცესში, დანაშაულის მსხვერპლი დაზარალებული აღარ გვევლინება ბრალდების მხარედ და მისი სამართლებრივი სტატუსი მოწმესთანაა გათანაბრებული, სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებისთანავე ბრალდებისა და დაცვის მხარეს მიეცათ თანაბარი შესაძლებლობა მათთვის სასარგებლო მტკიცებულებათა მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენის შესახებ, ხოლო წარდგენილი მტკიცებულებათა შეფასებით მხოლოდ სასამართლო სარგებლობს, მოსამართლეს (სასამართლოს) არა აქვს უფლება მტკიცებულებათა მოპოვების, წარდგენის, ის პასიურია და როგორი სახის განაჩენს დაადგენს გამამტყუნებელს თუ გამამართლებელს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მხარე წარადგენს უფრო მეტად დამაჯერებელი და გონივრული ეჭვის მიღმა არსებულ საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაში.

ქართული მართლმსაჯულების სისტემაში ამოქმედდა ასევე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტი, რომელსაც წინა საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობდა.

საპროცესო კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე კანონმდებელმა მრავალი ცვლილება განახორციელა, მართალია უმ-

ნიშვნელოდ მაგრამ მაინც, გაიზარდა დაზარალებულის სტატუსი, ერთგვარი მოდიფიკაცია განიცადა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმაც, შემოღებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ა.შ.

აღნიშნულის გამო, სულ უფრო აქტუალური ხდება ქართული საპროცესო კანონმდებლობის ცალკეული ინსტიტუტების თუ რეგულაციების ღრმა მეცნიერული კვლევა და იმ დადებითი თუ უარყოფითი მხარეების წარმოჩენა, რომელიც მათ ახასიათებთ.

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი და კერძო ნაწილები) სახელმძღვანელოს გამოცემა სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ავტორები შეეცადენ თეორიულად გამოეკვლიათ სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული ინსტიტუტები და რეგულაციები, არც თუ იშვიათად მათზე გამოთქმულია კრიტიკული შეხედულებები და შეთავაზებულია რეკომენდაციები მათი შემდგომი დახვეწა გაუმჯობესების მიზნით.

ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ყველა საკითხი, ამასთან ერთად ავტორები შეეცადნენ ცალკეული პროცესუალური ასპექტების განხილვისას, ამერიკული მეცნიერების გარდა ესარგებლათ, ასევე კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის სისტემის მეცნიერთა ნაშრომებითაც, რადგანაც ესა თუ ის პრობლემატიკა, მაგალითად სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტი, ორივე სამართლის სისტემისთვის უაღრესად აქტუალურია.

სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტებს (ბაკალავრიატებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს) მეცნიერ-მუშაკებს პრაქტიკოს იურისტებს და სისხლის სამართლის პროცესით დაინტერესებულ სხვა პირებს, შეისწავლონ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის არსი და მისი დანიშნულება.

სამართლის დოქტორი, პროფესორი ჯ. გახოკიძე
სამართლის დოქტორი, პროფესორი მ. მამნიაშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი ი. გაბისონია

სარჩევი

შესავალი.....	11
თავი I.....	13
§ 1. სისხლის სამართალწარმოების ცნება და სისხლის სამართლის პროცესი.....	13
§ 2. სისხლის საპროცესო სამართლის სისტემა	27
§ 3. სისხლის საპროცესო სამართლის მიზნები, ამოცანები და სტადიები.....	28
§ 4. სისხლის საპროცესო სამართლის კავშირი მომიჯნავე იურიდიულ დისციპლინებთან.....	32
§ 5. სისხლის საპროცესო კანონის გამოყენების თეორია და პრაქტიკა მოქმედება დროში, სივრცესა და პირთა წრის მიმართ	36
თავი II	
სისხლის საპროცესო სამართლის რეგულირების საგანი, მეთოდი, წყაროები და ისტორიული ფორმები	39
§ 1. სისხლის საპროცესო სამართლის რეგულირების საგანი და მეთოდი.....	39
§ 2. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროები.....	44
§ 3. სისხლის საპროცესო სამართალი, როგორც მეცნიერება.....	48
§ 4. სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული ფორმები	56
თავი III	
სისხლის საპროცესო სამართლის დემოკრატიული პრინციპები.....	70

§1. სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპების ცნება,
არსი და მნიშვნელობა70

§2. სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპების ზოგადი
დახასიათება.....72

თავი IV

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი,
პროცესში მონაწილეობის გამომრიცხველი
გარემოებები და პროცესის მონაწილეთა დაცვის
სპეციალური ღონისძიებანი 92

§1. სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტების
ცნება და კლასიფიკაცია. 92

§2. სასამართლო – მართლმსაჯულების
განმახორციელებელი ერთადერთი ორგანო 99

§3. პროკურორი 104

§4. გამომძიებელი..... 128

§5. ბრალდებული..... 143

§6. ადვოკატი 155

§7. მოწმე..... 169

§8. ექსპერტი..... 184

§9. თარჯიმანი 192

§10. სასამართლოს მეგობარი (მიგოუს ცურიაე)..... 195

§11. დაზარალებული 198

§12. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის
გამომრიცხავი გარემოებები და აცილება.....209

§13. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა
დაცვის სპეციალური ღონისძიებები213

თავი V

მტკიცებულება221

§1. მტკიცებულებების ცნება სისხლის სამართლის პროცესში, მტკიცებულებათა შესახებობა, დასაშვებობა, დასადგენი გარემოებები და მტკიცების ფარგლები ..	221
§2. მტკიცების პროცესის სტრუქტურა, მათი დონე და ელემენტები.....	235
§3. მტკიცების ფორმალური ხერხები.....	249
§4. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია და მათი სახეები....	258
§5. ნივთიერი მტკიცებულებების შენახვისა და უკან დაბრუნების პროცესუალური რეგულაცია	272
§6. შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ	276

თავი VI

საპროცესო პასუხისმგებლობა სასამართლოში	
საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის	278

თავი VII

საპროცესო ვადები და ხარჯები, საჩივარი და შუამდგომლობა	286
§1. საპროცესო ვადები და ხარჯები	286
§2. საჩივარი, შუამდგომლობა და მათი განხილვის ზოგადი წესი	291
გამოყენებული ლიტერატურა	296

შესავალი

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. კანონმდებლის მიზანი იყო პრაქტიკისათვის შეეთავაზებინა უფრო დახვეწილი, გამარტივებული და უფრო ადვილად გამოსაყენებელი კანონის მოდელი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასში გათვალისწინებულია არაერთი ისეთი სახის ინსტიტუტი, რომელსაც ქართული საპროცესო კანონმდებლობა, ადრე არ იცნობდა და ეს, უპირველეს ყოვლისა, მართლმსაჯულების დაჩქარებისაკენ არის მიმართული.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ქართული საპროცესო კანონმდებლობის სტრატეგიული მიმართულება – მართლმსაჯულების გამარტივება და დაჩქარება, რომელსაც ანგლოამერიკულმა სამართლის სისტემამ დაუდო სათავე, პოსტსაბჭოურ რესპუბლიკების შორის, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობისათვის არის დამახასიათებელი.

ჯერ კიდევ, 1987 წლის 17 სექტემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში, სპეციალურად იქნა მიღებული რეკომენდაცია, რომელიც მის წევრ სახელმწიფოებს სთავაზობდა სამართალწარმოების გამარტივებული ფორმების დანერგვას და „სისხლის სამართლის დავების“ გადანყვევტის დაჩქარებული ფორმების შემოღებას.¹

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში, სადაც სამართალწარმოება დროში ძალზე განელილი იყო,² დაინყეს სამართალწარმოების არსებული მოდელის სრულყოფა და ტრადიციული მექანიზმების გამარტივება, შემოღებული იქნა მრავალი ისეთი ნოვაცია (საპროცესო შეთანხმება და სხვ.), რომლებიც სამართალწარმოებას დროში აჩქარებდა და საპროცესო მოქმედებებს ამარტივებდა, რის გამოც დღეისათვის ევროპის უმრავლეს ქვეყანაში საპროცესო კანონმდებლობის სხვადასხვა ფორმით ეს მოთხოვნები რეალიზებულია და წარმატებითაც ფუნქციონირებს. ამ იდეას საფუძვლად უდევს შეჯიბრებითობის, თანასწორობის პრინციპები და სასამართლო ორგანოების მიერ გამოძიების სტადიაზე მუდმივი კონტროლი.

1 Доступы к правосудию. Комитет министров - государствам-членам относительно упрощения уголовного правосудия. №12(87), 17-18 сентября, 1987. Российская юстиция, 1987, №8, с.3.

2 ჟან პრადელი. შედარებითი სისხლის სამართალი. თბილისი, 1999, გვ. 393.

ამოქმედებულმა საპროცესო კანონმდებლობამ, რომელიც მოიცავს ანგლოამერიკული სამართლის სისტემის ელემენტებს, ძირეულად შეცვალა ცალკეული საპროცესო საქმიანობის მონაწილეთა სტატუსი სისხლის სამართალწარმოების პროცესში, კერძოდ, გათვალისწინებულია ისეთი სუბიექტის მონაწილეობაც, რომელსაც მანამდე ქართული სისხლის სამართალწარმოება საერთოდ არ იცნობდა (მაგ., სასამართლო მეგობარი). ამასთან ერთად განსხვავებული ინტერპრეტაცია მიეცა ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცედურულ წესებს. ასევე შემოღებულია სრულიად ახალი საგამოძიებო მოქმედებები და ქართული კანონმდებლობისთვის უცხო – ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ახლებურად არის გადმოცემული მტკიცებულებათა ცნება, შეფასების სტანდარტები და კლასიფიკაცია და ა.შ. ყოველივე ამის გამო დღის წესრიგში დადგა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თეორიული საკითხების, ცალკეული ინსტიტუტების ახლებურად გააზრება და მისი ღრმა მეცნიერული კვლევა.

მეცნიერ-იურისტთა კოლექტივის მიერ მომზადებული და გადამუშავებული ეს სახელმძღვანელო – საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი და კერძო ნაწილები) სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ეს ნაშრომი არის პირველი მცდელობა თეორიულად დამუშავდეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ისეთი პროცედურული საკითხები, რომლებიც უცხო იყო წინა საპროცესო კოდექსისათვის, ამასთანავე ავტორთა მიერ არც თუ იშვიათად გამოთქმულია კრიტიკული მოსაზრებები მოქმედი საპროცესო კოდექსის ამა თუ იმ კონცეპტუალურ თუ სხვა საკითხებისადმი.

სახელმძღვანელოში გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ქართულ საპროცესო კანონმდებლობის დახვეწა-გაუმჯობესებას.